

**მოკლე აღწერა:** ჯულია აუგსბურგის უნივერსიტეტში სწავლაზე შეიტანს შეიტანს საბუთებს და ი-მეილით მიიღებს შეტყობინებას, რომ უნივერსიტეტში იქნა დაშვებული. ჩარისხვისთვის კი 24 აგვისტოს დილის 08:30-დან 12:00 საათამდე უნდა მიაკითხოს სტუდენტთა კანცელარიას. 23 აგვისტოს კი მისი მეგობრის ნინას დაბადების დღეა. ზეიმი მთელი ღამე გაგრძელდება. დილით ჯულია მალე მადვიდარას ხმას ვერ გაიგებს და 11:30 საათზე გაიღვიძებს. სასწრაფოდ ჩაიცვამს და გაიქცევა უნივერსიტეტში. საბედნიეროდ მიუსწრებს რეგისტრაციის დროს და ჩარიცხვის პროცედურასაც წარმატებით გაივლის.

**ავტორი:** 6 აგვისტოა. ჯულია და მისი თანამცხოვრები ნინა სამზარეულოში საუზმობენ. ჯულია ივნისში დარეგისტრირდა უნივერსიტეტ აუგსბურგში სწავლაზე. მას ეკონომიკის ინფორმატიკაზე სწავლა სურს.

**ნინა** - აღარ მინდა იმდენი სტუმრები გავპატიჟო როგორც გასულ წელს. ამჯერად ვიწრო წრეში ავლნიშნავ.... მგონი ახალი ი-მეილი მიიღე.

**ჯულია** - ახლავე მოვალ და ვნახავ.

უნივერსიტეტში ვარ დაშვებული!

ნინა -ოჰ! ძალიან გამიხარდა!

**ჯულია** - ისეთი ბედნიერი ვარ, ეს რომ გამომივიდა. ჩარიცხვა 24 აგვისტოსაა დილის 08:30-დან 12:00 საათამდე.

**ნინა** - უი! ჩემი დაბადების დღის მეორე დღეა.

**ავტორი:** 24 აგვისტოა. 11:30საათი. დაბადების დღის გრძელი ზეიმის შემდეგ, ჯულიას მალე მადვიდარას ხმა გამოეპარა. უცებ იღვიძებს.

**ჯულია** - ო ღმერთო! რა მოხდა? რა? თორმეტის ნახევარია? ოჰ! ეს როგორ უნდა დამმართნოდა!

**ავტორი:** ჯულია სასწრაფოდ წამოხტა საწოლიდან.

**სტუმარი (1)** - ოააჰჰ! (მთქნარებით)

**ჯულია** - უი! ბოდიში!

**სტუმარი (2)** - რაო? სად ვარ საერთოდ?

**ჯულია** – სადაა მეორე ფეხსაცმელი?.. აჰ! აგერ! .. საბუთები? .. აგერ ისინიც!

**ჯულია:** - მოგისწარი! მადლობა ღმერთს.

.....

- გა-მარ-ჯო-ბა . (დაღლილი)

**კანცელარიის თანამშრომელი** - გამარჯობა.

**ჯულია** - აგერ ინებეთ, ჩემი ჩარიცხვისთვის საჭირო საბუთები

**კანცელარიის თანამშრომელი** – ეკონომიკის ინფორმატიკა? სწორედ რომ დროულად მოხვედით. ჩასარიცხთა რეგისტრაციის ვადა ხუთ წუთში იწურება. იმ ფაკულტეტებზე, სადაც სწავლის მსურველთა რაოდენობა შეზღუდულია, ჩარიცხვა ვადის ამოწურვის შემდეგ შეუძლებელია.

**ჯულია** - ამ შემთხვევაში ცოტა სხვანაირად არ არის?

**კანცელარიის თანამშრომელი:** - ძირითადად არა... აგერ თქვენი საბუთები. ჩარიცხვის ცნობას და სტუდ-ბილეთს, როგორც კი შუშის კარში გახვალთ და შემდეგ მარჯვნივ გაუყვებით, იქ მიიღებთ. .. კარგად ბრძანდებოდეთ.

**ჯულია:** - დიდი მადლობა . კარგად ბრძანდებოდეთ.

**ავტორი:** ეს იყო ჯულიას პირველი მაგრამ არა ბოლო შეხვედრა სტუდენტურ კანცელარიასთან. სწალის მანძილზე კიდევ არა ერთხელ მიაკითხავს იგი ამ კანცელარიას იქნება ეს: მისამართის შეცვლისას, საგნის შეცვლის მიზნით თუ ოჯახის შექმნის შემდეგ მისი გვარის შეცვლის შემთხვევაში. ყველა გზა კანცელარიისკენ მიდის.

---

**ავტორი:** თამარა ვაიმაირი

Übersetzt von  
Natia Tsikelashvili